სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

78882035680719

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N191045428

რეგისტრაციის თარიღი

03.09.2019 წ

ნოტარიუსი: შორენა ხაინდრავა
მისამართი: ქ. თბილისი დ. გამრეკელის ქ. N18
ტელეფონი: 2725342

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას ცხრამეტი წლის სამ სექტემბერს მე, **ნოტარიუს შორენა ხაინდრავას** ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: **ქ. თბილისი, დ. გამრეკელის ქ. №18**, მომმართა **შპს «ბელაჯიო»-ს დირექტორმა დავით ხიდეშელმა** (თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან: განაცხადის რეგისტრაციის №B19082741, ს/კ 412700625, ამონაწერის მომზადების თარიღი 31/07/2019). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **დავით ხიდეშელმა** (დაბ. 25.08.1960წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზოვრეთის ქ. №36, პირადი №62007000926) მომმართა. მე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე მას, განეუმარტე მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგ **დავით ხიდეშელმა** თავადაც წაიკითხა მინდობილობის ტექსტი და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი მას.

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **შპს «ბელაჯიო»-ს დირექტორი დავით ხიდეშელი** (დაბ. 25.08.1960წ, რეგისტრირებული მისამართზე: თბილისი, ზოვრეთის ქ. №36, პირადი №62007000926) ვანიჭებ **ლევან მამისაშვილს** (პირადი №01021001076) უფლებამოსილებას, კომპანიის საკუთრებაში არსებული ნებისმიერი უძრავი ქონების პროექტის მიღება/წარდგენასთან დაკავშირებით აწარმოოს მოლაპარაკებები, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადებები, წარადგინოს და/ან მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია, ცნობა და/ან დოკუმენტი, წარადგინოს პროექტი, საჭიროების შემთხვევაში მოახდინოს პროექტის კორექტირება, დაარეგისტრიროს აზომვითი ნახაზი, დაესწროს საქმის განხილვას, მიიღოს ნებართვები, გააგრძელოს მშენებლობის ნებართვის ვადები, გაიყვანოს ბუნებრივი აირი, წყალი, ელექტროენერგია, დაამონტაჟოს გაზის, წყლის და/ან ელეტროენერგიის მრიცხველი, დააარეგისტრიროს მრიცხველები კომპანიის სახელზე, დაარეგისტრიროს პროექტი, რისთვისაც იყოს ჩემი წარმომადგენელი იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, სანოტარო ბიუროში, ქ. თბილისის მერიასა და მის დაქვემდებარებულ ნებისმიერ დაწესებულებაში, არქიტექტურის და ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში, კომუნალური მომსახურების სამსახურებში, სს "თელასში", შპს "ჯორჯიან ვოთერ ენდ ფაუერში", "დასუფთავების სამსახურში, "ჯაზსტრანსგაზში", "თბილისი ენერჯი"-ში, ხელი მოაწეროს ყველა საჭირო საბუთს და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც წინამდებარე მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად იქნება საჭირო.

მინდობილობა გაცემულია ორი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა შედგენილია ოთხ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება სანოტარო არქივში, ხოლო დანარჩენი გადაეცა მიმნდობს.

იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში, თან ერთვის შემდეგი დოკუმენტი:

1. ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის №B19082741, ს/კ 412700625, ამონაწერის მომზადების თარიღი 31/07/2019);
2. წესდება ხელისაწვდომია მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირთა რეესტრის საიტზე.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 10 ლარი („სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის №507-ე დადგენილების მ.31 პ.7-ის თანახმად), დღგ - 1.80 ლარი (თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლისა) და რეგისტრაციის საფასური 2 ლარი (ამავე დადგენილების მ.39 პ.1-ის თანახმად). სულ გადახდილია 13 ლარი და 80 თეთრი.

შპს «ბელაჯიო»-ს დირექტორი დავით ხიდეშელი _____

ნოტარიუსი _____ შორენა ხაინდრავა